№2273 2015 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 2^3 პუნქტის შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ფარგლებში, გაზსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ მიეცეს უფლება:

ა) „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და წითელი ნუსხით დაცული სახეობების გარემოდან ამოღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №1975 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, წერაქვის სატყეოს ტყის ფონდში (მარნეულის მუნიციპალიტეტი),

კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 1 (ერთი) ძირი პატარა თელადუმა (Ulmus minor);

ბ) მარნეულის მუნიციპალიტეტში, კერძო საკუთრებაში მდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: 83.02.12.248), ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 1 (ერთი) ძირი პატარა თელადუმა (Ulmus minor).

2. „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“ ვალდებულია:

ა) წერაქვის სატყეოს ტყის ფონდში არსებულ ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემოდან ამოღებული მერქნული რესურსი დაასაწყობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო მერქნიანი მცენარის მოჭრისთვის საკომპენსაციო საფასური გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემოდან ამოღებული მერქნული რესურსი განკარგოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს ამავე განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარის ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის დეტალური საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი;

დ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**